თუ ბურთი კიდეზე ფეხით გადააგდეს მიწაზე დაუცემლად, გადასვლის ადგილზე მეტოქეს ერგება თავისუფალი.

თავისუფალი ინიშნება ნებისმიერ სხვა დარღვევაზეც. იგი სრულდება ალაღის წესებით, ანუ შეიძლება ბურთის ფეხით დარტყმა, მუშტის კვრა და უმალ გაქცუნება.

ბიჰაინდის შემდეგ დამცველმა ბაქნიდან ბურთი აუცილებლად ფეხით უნდა დაარტყას და მერეღა შეუძლია მუშტის კვრა ან გაქცუნება.

ბინძურად თამაშისა და უწესობისთვის დაწესებულია 50-მეტრა სასჯელი. ამ დროს მსაჯი ბურთს ამდენით წინ წაწევს მეტოქის კარისკენ.

პოზიციები, ტექნიკა და ტაქტიკა

რულზი ფრიად პოზიციური ბურთაობაა, თუმცკი მოთამაშეთა უმეტესობა უნივერსალია და თამაშის განმავლობაში გუნდელს ადგილს საჭიროებისამებრ უცვლის.

გუნდი შედგება ექვსი რგოლის ანუ ხაზისგან. თითოში სამი კაცია. საკუთარ კართან თამაშობენ ფულბეკები, ამათზე წინ ჰავბეკები, ოვალის ცენტრში ცენტრები, უფრო წინ ჰავფორვარდები, სულ წინ კი ფულფორვარდები. კიდევ სამი მოთამაშე, ე.წ. რაქი ბურთს მიყვება. ამათგან ერთია როვერი (მარბიელი), ვინც სადაოებში მონაწილეობს, ორნი კი ფოლოვერები (მიმყოლები) არიან. უფრო თანამედროვე ტერმინოლოგიით ამ ხალხს ონბოლერები ეწოდებათ.

ამპლუის და მიუხედავად, მოთამაშეთა გადაადგილება წესებით შეუზღუდავია, მაგრამ რაკი რულზში ოფსაიდი არაა და კაცს ნებისმიერ ადგილას შეუძლია დადგომა, ამიტომ პერსონალური მეურვე სულ თან დაყვება, ებრძვის და კიდეც ეშაირება. რულზელთა უმეტესობა მაღალი, ხმელი და ღონიერი ბიჭია, მაგრამ მიმყოლები და ცენტრები მეტწილად ჩია და სხარტები არიან. და კიდევ, ყველანი ჯორივით გამძლე და ამტანები არიან.

რულზელებმა ბურთის მრავალი ხერხით დარტყმა იციან, მაგრამ სწავლებისას მაინც გამოყოფენ პირდაპირ „ფანთს“, ბზრიალა „ტორპედოს (სპირალს)“ და ჩახვეულ „ბანანს“. ბურთის ნახტომში დაჭერაც ტექნიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ასევეა ბურთისთვის მუშტის კვრა, მეტოქის შებოჭვა და ბლოკის დაყენება.

ტაქტიკა მრგვალბურთა ფეხბურთის ალიკვალია. მთავარი პრინციპი თავისუფალ ადგილზე უბურთოდ გასვლა და დაცვიდან შეტევაში სწრაფი გადასვლაა. თუ მეტოქის ნახევარზე შემტევი უმეთვალყურეოდ დარჩა, გოლი თითქმის გარდაუვალია. კალათბურთის მსგავსად, კლასიკური იერიშის არსი ისაა, რომ ბურთი „ალალზე“ დააჭერინო ფულფორვარდს და ამან დამიზნებით დაარტყას კარში.

რულზი ავსტრალიასა და მსოფლიოში

რულზი შინ უპირველესი სპორტია. მას სიყრმიდან ყველა ავსტრალიელი ეტანება. გუნდი ყველა სკოლას, დაბასა და ქალაქს ჰყავს. კლუბები ადგილობრივ ლიგებად ერთიანდებიან, ხოლო უბობოლესი ეროვნული ლიგაა AFL, რომელშიც 16 კლუბია. მათგან ცხრა მელბურნისაა.

AFL-ის სეზონი მარტიდან სექტემბრამდე გრძელდება. ყოველი გუნდი უქმეებზე თითოჯერ თამაშობს. 22 რაუნდის შემდეგ ეწყობა პლეი-ოფი. „დიდი ფინალი“ 95-ათასა მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ იმართება და წლის უმთავრესი სპორტული მოვლენაა. ბოლო ორი წელია, ჩემპიონის „ალამი“ ბრისბენის „ლომებს“ უპყრიათ.

რულზს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში თამაშობდნენ ახალ ზელანდიასა და შოტლანდიაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს თამაში საზღვარგარეთ ჩაკვდა, რაკი იქაურებს რულზი გადამთიელ ოზთა ახირებად მიაჩნდათ და შორეული კონტინენტიდანაც მხარდაჭერას ვერ გრძნობდნენ.

ბოლო ათწლეულში ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თანამგზავრულმა ტელევიზიამ, მობილურმა ტელეფონმა, ინტერნეთმა და ელექტრონულმა ფოსტამ მსოფლიო გააერთიანა. ავსტრალიაც მომძლავრდა და უცხოეთში საკუთარი კულტურის გასატანად დაიწყო მეცადინეობა. ამას დაერთო იმის შეგნება, რომ რულზს შინაც კი ნაღდად წალეკავენ სხვა, გლობალური სპორტები, თუკი თავად რულზი იქეთ არ გადავა შეტევაზე.

რულზის უცხოეთში გასავრცელებლად შეიქმნა საერთაშორისო კონფედერაცია, სახელად IAFC, AFL-მა კი წლეულს, მელბურნში გამართა „საერთაშორისო თასი“, რომელშიც ადგილები ასე განაწილდა: 1. ირლანდია, 2. პაპუასეთი, 3. ახალი ზელანდია, 4. დანია, 5. აშშ, 6. ბრიტანეთი, 7. სამოა, 8. ნაურუ, 9. კანადა, 10. იაპონია, 11. სამხრეთი აფრიკა

რულზი საქართველოში

2002 წელს ბატონმა ყაფლან ჯანდიერმა IAFC-ს წევრად მიაღებინა „ოზირულზ ჯორჯია – ავსტრალიური ფეხბურთის ამქარი“ და თამაშის დასანერგად მიზანში ამოიღო რაგბის ოთხი კლუბი, რადაი, მისი აზრით, მორაგბეებზე უკეთ ამ ბურთაობას ვერავინ შეითვისებს, რულზში გაწაფვით ბიჭები რაგბსაც უკეთ ითამაშებენ და, რაც მთავარია, ოვალური ბურთის მიმდევრების მომრავლებით რაგბი და რულზი სხვა სპორტების შემოტევას ერთად უფრო იოლად გაუმკლავდებიან. „ოზირულზ ჯორჯიას“ ვებსაიტია

www.geocities.com/ozirulz_georgia/index.htm



რულზი ავსტრალიური ფეხბურთია!

რულზი, იგივე ოზირულზი, ავსტრალიური თამაშია. სხვა ბურთაობებიდან იგი ყველაზე მეტად ჩვეულებრივ, ევროპულ ფეხბურთს ენათესავება, ოღონდ მასზე ძველია, 1858 წელსაა მოგონილი და ამიტომ ბევრ არქაულ წესს შეიცავს.

რულზი ბურთის თამაშთაგან ყველაზე წესმცირე, თავისუფალი და ჩქარია. ითამაშება რაგბის მაგვარი, ნესვივით ბურთით. დიდ, ოვალურ მოედანზე გუნდიდან 18 კაცია. მიზანი ბურთის კარში ფეხით გატანაა, რასაც გოლი ჰქვია.

ბურთს მეტწილად ფეხს ურტყამენ და მის დასაჭერად ჰაერში მაღლა ხტებიან, მაგრამ ხელითაც დაარბენინებენ და ერთმანეთს აწვდიან. თამაში კონტაქტურია და რაგბზე უფრო ხისტიც, ოღონდ მასში ღონეზე მეტად ხერხი ფასობს.

მოედანი და კარი

რულზს ოდითგან კრიკეტის ოვალზე თამაშობენ. ამით აიხსნება ასპარეზის ფორმა და ისიც, რომ იგი ზომით ერთნახევარჯერ აღემატება ფეხბურთისას.



კარები ოვალის ბოლოებზე დგას. თითო კარი ოთხი ძელისგან შედგება. ისინი ერთმანეთს ექვს-ნახევარი მეტრით არიან დაშორებული. შუა ძელები მაღალია და გოლისა ჰქვია, განაპირა კი დაბალი. რაგბისგან განსხვავებით, კარს ხარახა არა აქვს.

კარის წინ ცხრა-მეტრა ბაქანია, კარიდან 50 მეტრზე კი მოხაზულია რკალი. იგი ბოლო ხანს შემოღებული სიახლეა და გამოიყენება მხოლოდ მოთამაშეთა და მაყურებელთა ორიენტირად.

მოედნის შუაში შემოხაზულია სადაო, 45-მეტრა კვადრატი, მის ცენტრში კი სამ-მეტრა წრე, რომელშიც მსაჯი ბურთს ახეთქებს.

ბურთი

ბურთი რაგბისაზე მომცროა და აქვს ნაკერი, რაც სიმძიმის ცენტრს უნაცვლებს. ამის მეოდამი ისაა, რომ ბურთის სხვადასხვა ყაიდაზე დარტყმა შეიძლება. დღის შუქზე სათამაშო ბურთი წითელია, ხოლო საპროჟექტორო ყვითელი.

გუნდი

ზეპურ დონეზე გუნდში 22 კაცია: 18 დამწყები და ოთხი სათადარიგო. მომცრო ოვალზე და სალაღობოდ თამაშობენ ნაკლებკაცა გუნდებით, და მოთამაშეებს გადაადგილების არეს უზღუდავენ.

შეცვლა შეუზღუდავია. ზეპურ დონეზე დამნაშავეს მოედნიდან არ აძევებენ, მაგრამ მერე იბარებენ ტრიბუნალზე და სჯიან. გუნდს ჰყავს რამდენიმე მწვრთნელი. მთლად უფროსი თამაშს ზემოდან ადევნებს თვალს და მითითებას ტელეფონით აძლევს შიკრიკებს, რომლებიც მოედანზე შეუზღუდავად, თვით გაგანია თამაშშიც კი შერბიან და მოთამაშეებს დანაბარებს გადასცემენ.

მობურთალთა უმეტესობას ჩვენს დროში აცვია კალათბურთის მაისურა, მაგრამ ვისაც სურს, ძველებური, გრძელმკლავა კვართით თამაშობს. ნომერი მაისურას ზურგზე აწერია და ნომრობის გარდა, სხვა დატვირთვა არაფერი აქვს. კვართი არა-თეთრია, რადგან თეთრი მსაჯთა ფერია. სტუმარი გუნდი ტრადიციულად თეთრი ნიფხვებით თამაშობს.

დრო

თამაში ოთხ პერიოდად იყოფა. თითო 20-წუთაა. ზეპურ დონეზე საათი ჩერდება გოლზე და ბურთის ოვალიდან გადასვლაზე, აგრეთვე კარში ადგილიდან დარტყმის წინ. სალაღობო რულზში მატჩი ძველებურად, ოთხ 25-წუთა მეოთხედად იმართება.

საწყისი ორი პერიოდი პირველ ნახევარს შეადგენს. ამის შემდეგ გუნდები გასახდელში მიდიან და 15 წუთს ისვენებენ. პირველი და მესამე მეოთხედების შემდეგ შესვენება მოკლე, ხუთწუთაა.

მსაჯები

მოედანზე აუცილებელია ერთი მსაჯის ყოლა. კარებს უკან თითო, შლაპოსანი მსაჯი დგება. სასურველია მოედნის ორივე კიდეზე თითო მსაჯის ყოლაც, დიდ ოვალზე კი კიდევ ორი მოედნის მსაჯისა, რადგან თამაში ძაან დინამიურია და ერთი მსაჯი ამოტოლა სივრცეს ვერ წვდება.

მსაჯების სამოსი თეთრია. მოედნისა და კიდის მსაჯებს აქვთ სასტვენი, კარისას კი ალმები.

ქულები

ქულის მოპოვება ხდება ორი ხერხით: გოლით და ბიჰაინდით.

გოლი 6 ქულა ღირს. მის გასატანად მეტოქის მაღალ, გოლის ძელებს შორის ფეხით უნდა შეაგდო ბურთი. გოლის ნიშნად კარის მსაჯი ორივე საჩვენებელ თითს გაიშვერს. თამაში მოედნის ცენტრში, სადაოთი განახლდება.

ბიჰაინდი ერთი ქულაა. იგი ითვლება მაშინ, როცა ბურთი გოლის ძელს მოხვდება, ან ნებისმიერი სხვა ხერხით გავა კარის ნებისმიერ ნაკვეთში. ეს მოიცავს ბურთის ხელით გატანას, დარტყმულზე ხელის დაფარებას ან წაკვრას, ანაც ბურთიანად კარში შესვლას. ბიჰაინდს მსაჯი ცალი თითის გაშვერით აღნიშნავს. თამაშს დამცველი გუნდი კარის ბაქნიდან განაახლებს.

თამაშის ხერხი

მოთამაშეს შეუძლია უპატრონო ბურთი სხეულის ნებისმიერი ნაწილით გადააადგილოს, მაგრამ თუ ბურთი ხელში უჭირავს, მხოლოდ ფეხის დარტყმა, მუშტის კვრა ან ძირს დაგდება შეუძლია.

როცა ბურთით გარბიხარ, ყოველ 15 მეტრში იგი მიწას უნდა შეახო. როცა გიჭერენ, ბურთი უნდა მოიშორო დარტყმით ან მუშტის კვრით. ბურთის ხელიდან გავარდნა დარღვევა არაა. თუ მეტოქემ ხელები არ გაგიკავა და ბურთი ვერ მოიშორე, დაისჯები.

მუშტის კვრისას ბურთი ცალ ხელში უნდა გეჭიროს და მეორის მუშტი დაარტყა, ოღონდ ბურთი წინდაწინ არ უნდა ააგდო.

თუ ფეხით დარტყმულმა ბურთმა 15 მეტრი იფრინა და იგი ნებისმიერმა მოთამაშემ ჰაერში დაიჭირა, მას „ალალი“ ერგება. მეტოქის ერთ მოთამაშეს შეუძლია დადგეს დაჭერის ადგილზე, დამჭერი კი ან უკან დაიხევს (და ამ დროს შეუძლია კიდეზე გადასვლა), ანაც იქვე დაარტყამს ბურთს, მას მუშტს ჰკრავს ან ბურთიანად გაიქცევა.

„ალალიდან“ თუ განზე გახვალ, თამაში უმალ გაგრძელდება. უკანდახევის მერე დაჭერის ადგილამდე ისახება ათმეტრა დერეფანი, რომელშიც დარტყმამდე ვერავინ გაიჭანჭანებს. მხოლოდ დაჭერის ადგილზე მდგომ მეტოქეს შეუძლია დარტყმის დაფარება.

ბურთიანი მეტოქის შებოჭვა შეიძლება კორპუსში, ანუ მხრებსა და მუხლებს შორის, ოღონდ კაცი ზურგში კვრით არ უნდა წააქციო.

ბურთიდან ხუთ მეტრში ნებადართულია ბლოკირება, ანუ თუ ბურთი გიახლოვდება, შეგიძლია მეტოქეს ტანით მიაწვე და გასწიო, ხოლო თუ ბურთი შენიანს აქვს, შეგიძლია მასა და მეტოქეს შორის ჩადგე და შენიანი დაიცვა.

თამაშის განახლება

გოლის შემდეგ, მეოთხედის დაწყებისას და ბურთის ჩახურვისას მოედნის მსაჯი სადაოს ათამაშებს. თუ დარია, ბურთს მიწაზე ახეთქებს, მაგრამ თუ თამაში წვიმასა და ლაფშია, ბურთს პირდაპირ ჰაერში აგდებს.

სადაო კვადრატში გუნდიდან მხოლოდ ოთხ კაცს შეუძლია დადგომა, წრე კი ცარიელია. ვინც ბურთისთვის იბრძოლებს, მსაჯს უნდა წარუდგეს. ბურთის ჩახურვის მერე პოზიციის არჩევა შეუზღუდავია.

თუ ბურთი კიდეზე თამაშ-თამაშ გადავიდა, ან ფეხის დარტყმის შემდეგ ჯერ მოედანში დაეცა, მას კიდის მსაჯი აწვდის: ზურგით დადგება და მოედნისკენ მაღლა მოისვრის.